აღზრდის განზომილებების, ემპათიისა და აგრესიის კვლევა მოზარდებში

თინათინი სამარგულიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი

(ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

12.06.2022

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დაადგინოს კავშირი მშობლების აღზრდის განზომილებებსა და მოზარდების ემპათიისა და აგრესიის დონეებს შორის. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 103-მა თბილისის სხვადასხვა სკოლის 7-დან 11 კლასის მოსწავლემ (N=103), რომელთა საშუალო ასაკია 15 წელი. ცდის პირებმა შეავსეს აღზრდის განზომილებების, ემპათიისა და აგრესიის საზომი კითხვარები. მონაცემები დამუშავდა პირსონის კორელაციით და მრავლობითი რეგრესიული ანალიზით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია ორივე მშობლის მხარდაჭერასა და მოზარდების ფიზიკურ აგრესიას შორის. არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო კავშირი მშობლების აღზრდის განზომილებებსა და მოზარდების ემპათიას შორის. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა ორივე მშობლის ფსიქოლოგიურ კონტროლსა და მოზარდების აგრესიის სამივე განზომილებასთან (ფიზიკური აგრესია, მტრობა, რისხვა) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია. ასევე დადასტურდა ორივე მშობლის ფსიქოლოგიურ კონტროლსა და მდედრობითი სქესის მოზარდების ფიზიკური აგრესიის მაჩვენებელს შორის უარყოფითი კორელაცია. რეგრესიული ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ მამის ფსიქოლოგიური კონტროლი უარყოფით გავლენას ახდენს გოგოების ემპათიის მაჩვენებელზე.

მოზარდების ემპათიასა და მშობელთა ავტონომიურობის მხარდაჭერას შორის კავშირი არ აღმოჩნდა სანდო. დადებითი კორელაცია დადგინდა მოზარდების აგრესიის სამივე განზომილებასა და მშობლების ავტონომიურობის მხარდაჭერას შორის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე მშობლის ქცევის კონტროლსა და მოზარდების მტრობის მაჩვენებელს შორის დადასტურდა დადებითი კორელაცია, ასევე დადასტურდა მდედრობითი სქესის მოზარდების ფიზიკურ აგრესიასა და მშობლების ქცევის კონტროლს შორის დადებითი კორელაცია. რეგრესიული ანალიზით, დადგინდა, რომ მამის ქცევის კონტროლი დადებით გავლენას ახდენს გოგოების ემპათიის მაჩვენებელზე.

წინამდებარე კვლევის მიხედვით, მოზარდების ფსიქო-ემოციური ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებთან ურთიერთობა, მხარდამჭერი გარემო და თანასწორი ურთიერთობები.

საკვანძო სიტყვები:

აღზრდის განზომილებები, მშობელთა ქცევის კონტროლი, მშობელთა ფსიქოლოგიური კონტროლი, მშობელთა ავტონომიის მხარდაჭერა, ემპათია, აგრესია, რისხვა, ფიზიკური აგრესია, მტრობა, მოზარდები, მშობლები.

Abstract

This study examines the relationship between parenting dimensions and adolescents' empathy and aggression. The research respondents consisted of 103 adults (7-11 grades) from different schools of Tbilisi. Mean age of adults is 15 years. Adults completed the Parenting Dimensions Questionnaire, the Empathy Questionnaire and the Aggression Questionnaire. Data was analysis using Pearson's correlations and regression analysis. Findings suggested that there is a positive relationship between parental support and adults' physical aggression. A significant relationship between parental dimensions and adults' empathy was not present. The results showed that there was a significant positive relationship between parental psychological control and adults' all three forms of aggression (physical aggression, anger, hostility). There was also a negative correlation between both parental psychological control and girls' physical aggression index. Regression analysis showed that paternal psychological control was a negative significant factor in predicting girls' empathy. There was no significant correlation between adults' empathy and parental autonomy support. The results showed that there was a positive relationship between parental autonomy support and adults' all the forms of aggression. Parental behavior control was positive correlated to adult's hostility and positively correlated to adult's physical aggression. Regression analysis showed that paternal behavior control was a positive significant factor in predicting girls' empathy.

The present findings support that family relations, supportive environment and equality is very important for adults' psycho-emotional development.

Keywords:

Parenting dimensions, parental support, parental psychological control, parental behavior control, parental autonomy support, empathy, aggression, anger, hostility, physical aggression, adults, parents;